უნგრეთში სერბეთის პატრიარქის ვიზიტის ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ბუდაპეშტისა და უნგრეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.09.2022. 3 სექტემბერს ბუდაპეშტისა და უნგრერთის მიტროპოლიტი ილარიონი ბუდიმის ეპისკოპოს ლუკიანეს (სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია) მიწვევით ბუდაპეშტის წმ. გიორგის ტაძარში აღვლენილ პარაკლისს დაესწრო. ღვთისმსახურებას უძღვებოდა უგრეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი სერბეთის ეკლესიის უწმინდესი პატრიარქი პორფირი. პარაკლისის დასრულების შემდეგ სერბეთის ეკლესიის მეთაური მიესალმა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების იქ შეკრებილ წარმომადგენლებს და მოუთხრო მათ ბუდიმის ეპარქიის ისტორია; განსაკუთრებით აღნიშნა ეპისკოპოს ლუკიანეს გამორჩეული დამსახურება ეპარქიის მოწყობის საქმეში და მას კათედრაზე აღსვლის 20 წლისთავი მიულოცა.

იმავე დღის საღამოს მიტროპოლიტი ილარიონი დაესწრო საზეიმო მიღებას, რომელიც პატრიარქ პორფირის საპატივცემულად უნგრეთის რესპუბლიკაში სერბეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ტოდოროვმა მოაწყო.

პატრიარქ პორფირისთან საუბრის მსვლელობისას, მიტროპოლიტმა ილარიონმა მას მოუთხრო მოსკოვის საპატრიარქოს ბუდაპეშტ-უნგრეთის ეპარქიის ცხოვრების შესახებ, აგრეთვე, ხაზი გაუსვა მრავალწლიან კეთილთანამშრომლობას სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბუდიმის ეპარქიასთან. შედგა, ასევე, აზრთა გაცვლა-გამოცვლა საერთო ინტერესების შემცველ სხვა რიგ საკითხებზე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89598/